ჟან-პოლ სარტრი

JEAN-PAUL SARTRE

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ეგოს ტრანსცენდენცია

ფენომენოლოგიური აღწერის მონახაზი

ემოციათა თეორიის მონახაზი

გამომცემლობა აქტი

თბილისი -- 2021

L'EXISTENTIALISME EST UN HUMANISME
© Jean-Paul SARTRE
© Arlette ELKAÏM-SARTRE
© Editions GALLIMARD, Paris, 1996

LA TRANSCENDANCE DE L'EGO.
Esquisse d'une description phénoménologique
Introduction et notes par Sylvie Le Bon
© Librairie Philosophique J. Vrin, Paris, 1965 ; 2003.
http://www.vrin.fr

ESQUISSE D'UNE THÉORIE DES ÉMOTIONS
© 1938, HERMANN, paris, France, www.editions-hermann.fr

მთარგმნელები:
თამარ ქავთარაძე,
მანანა ბოსტოღანაშვილი,

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი", 2021 წელი
ვებ-გვერდი: **AKTI.GE**

© iBooks
© გამომცემლობა „აქტი"

ISBN 978-9941-8-3812-5

სარჩევი

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია 5
საჯარო დექციის ვითარება
არლეტ ელკაიმ-სარტრი 7
დისკუსია 52

ეგოს ტრანსცენდენცია
ფენომენოლოგიური აღწერის მონახაზი 69
წინასიტყვაობა 71
I. „მე“ და „თვითობა“ 73
II. ეგოს კონსტიტუირება 96
დასკვნა 122

ემოციათა თეორიის მონახაზი 133
ფსიქოლოგია, ფენომენოლოგია და
ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია 135
ფიზიოლოგია 139
ფსიქოანალიზი 147
ფენომენოლოგია 151
ფენომენოლოგიური თეორიის მონახაზი 152

შენიშვნები და განმარტებები 166
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 199

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

საჯარო ლექციის ვითარება

არლეტ ელკაიმ-სარტრი[1]

„*ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია*“ არის სტენოგრაფიულად ჩაწერილი, სარტრის მიერ ოდნავ ჩასწორებული მოხსენება, რომელიც მან წარმოთქვა 1945 წლის 29 ოქტომბერს, ორშაბათს, პარიზში ჩატარებულ ლექციაზე კლუბის „Maintenant“[2] თხოვნით. ეს კლუბი ჟაკ კალმმა და მარკ ბეგბედერმა დააარსეს „ლიტერატურული და ინტელექტუალური გამოცოცხლების“ მიზნით; ამ ლექციის ტექსტი მომდევნო წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაგელმა“. რატომ ცდილობს „*ყოფიერება და არარას*“ (1943 წ.) ავტორი ხალხის დარწმუნებას თავისი დოქტრინის ჰუმანიზმში?

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ პირველად გამოცემულმა „*თავისუფლების გზების*“ ორმა ტომმა სკანდალური წარმატება მოიპოვა. აღარ ვისაუბრებთ იმ დეტალებზე, რამაც „*გონების ხანაში*“ და „Sursis“-ში[3] იმ ეპოქის კონსერვატორულად მოაზროვნეთა უკმაყოფილება გამოიწვია. მის მთავარ პერსონაჟს უნებისყოფოდ ან ციინიკურად მიიჩნევდნენ. „ვფიქრობ, ჩემს პერსონაჟებს განსაკუთრებით შემაწუხებლად აქცევს ის, რომ საღად აზროვნებენ. მათ იციან, რას წარმოადგენენ და ამად ყოფნას ირჩევენ“. – წერდა სარტრი. საყრდენს მოკლებული, მერყევი მატიე აშკარად შორსაა ეპიკური ფიგურისგან ან პოზიტიური გმირისგან; ჭეშმარიტად თავისუფალი ცხოვრების

1. არლეტ ელკაიმ-სარტრი – ჟან-პოლ სარტრის ქალიშვილი. – მთარ. შენ.
2. Maintenant – ამჟამად.
3. Sursis – სარტრის ერთ-ერთი ნაშრომი.

შეუპოვარ ძიებაში მოპოვებული მისი ერთადერთი უპირატესობა, რომელსაც ეხმიანება ფილოსოფიური ნარკვევი „*ყოფიერება და არარა*“, არის გულგრილი გამჭრიახობა, რომელიც ამავე დროს ტანჯვაცაა. ყველაფერი, რაც მას თავს გადახდება, რასაც იგი აკეთებს, რეალობასთან მცირედ არის დაკავშირებული; მას არც დაუწყია ნამდვილად ცხოვრება. მაშინ კარგად ვერ ვხვდებოდით, რომ საკითხი ეხებოდა ინტელექტუალურ და მორალურ დრამას ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ცნობიერებისა, რომლის განვითარებაც არ დასრულებულა მეორე ტომის ბოლოს. ორი რომანის კითხვა, რომელთაც მხურვალე დამცველებიც ჰყავდა, უფრო იოლი იყო, ვიდრე ფილოსოფიური ნაშრომისა, და უეჭველად, მათმა გამოქვეყნებამ გააძლიერა სარტრის ეგზისტენციალიზმით გამოწვეული რეზონანსი; კამათი ამ თემაზე გაართულა და გაამძაფრა იმან, რასაც დღეს ვუწოდებდით მედიის ფენომენს, – აურზაურმა და იდეების შეხლა-შემოხლამ, ღია ან ფარულმა მტრობამ, პედანტობამ, რომელთა მიზეზები ჯერ კიდევ გასარკვევია.

ამას შედეგად მოჰყვა თითქმის ორმხრივი თავდასხმა: მწერალს შეუტია სახელგანთქმულმა ფიცხმა ადამიანმა, საზოგადოებას კი – ეგზისტენციალიზმმა. კონტექსტიდან ამოვარდნილი, სენსაციებს გამოდევნებულ გაზეთებში მიმოფანტული ფორმულები, როგორიცაა „*ჯოჯოხეთი არის სხვები*“, „*არსებობა უსწრებს არსს*“, „*ადამიანი უსარგებლო ვნებაა*“, ეშმაკისეული ლოზუნგებივით ჟღერდა.

რაც შეეხება იმ ინტელექტუალთა გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, მის შეურაცხყოფასაც რომ კადრულობდნენ, ისინი ჯერ კიდევ არ გამომდინარეობდა „*ყოფიერებისა და არარას*“[4] ღრმად გააზრებული მიმოხილვიდან: ქრისტიანები სარტრს ათეიზმის გარდა, მატერიალისტობის გამოც საყვედურობდნენ,

4. თუმცა ახალგაზრდა ფილოსოფოსები და ის წრე, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა მისი ყოფილი სტუდენტების წრესთან შედარებით, ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სარტრის თხზულებებს, მაგალითად ფრენსის ჟანსონი, რომელმაც გამოაქვეყნა „მორალის პრობლემა და სარტრის ფილოსოფია“, გამომცემლობა მირტი, 1947 წ.

ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჟან-პოლ სარტრი

მსურს[1] ეგზისტენციალზმის დასაცავად გამოვიდე რიგი ბრალდებებისგან, რომლებიც ამ მოძღვრების მისამართით გაისმის.

უპირველეს ყოვლისა, ეგზისტენციალიზმს იმაში სდებენ ბრალს, თითქოს ის სასოწარკვეთილების კვიეტიზმში ჩაფლობისკენ მოწოდება იყოს: თუ არანაირი პრობლემა არ ექვემდებარება გადაწყვეტას, მაშინ არც სამყაროში მოქმედების შესაძლებლობა არსებობს; საბოლოოდ ეს გონებაჭვრეტითი ფილოსოფიაა, ხოლო ვინაიდან ჭვრეტა – ფუფუნებაა, ჩვენ კვლავ ბურჟუაზიულ ფილოსოფიასთან მივდივართ. ასეთია ბრალდებები ძირითადად კომუნისტთა მხრიდან.

მეორე მხრივ, იმაში გვდებენ ბრალს, რომ ხაზს ვუსვამთ ადამიანთა სიმდაბლეს, ყველგან ურიგოს, ბნელსა და ბინძურს ვაჩვენებთ, უგულვებელვყოფთ რა მშვენიერსა და სასიამოვნოს, ზურგს ვაქცევთ ადამიანის ბუნების ნათელ მხარეს. ასე მაგალითად, კრიტიკოსი, რომელიც კათოლიციზმის პოზიციაზე დგას, – ქ-ნი მერსიე, – ბრალს გვდებდა იმაში, რომ ჩვენ ბავშვის ღიმილი დაგვავიწყდა. ერთნიც და მეორენიც იმას გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ დავივიწყეთ ადამიანთა სოლიდარობა და ადამიანს ვუმზერთ, როგორც იზოლირებულ არსებას; ეს კი, როგორც კომუნისტები ამბობენ, იმის შედეგია, რომ ჩვენ წმინდა სუბიექტურობიდან, კარტეზიანული „ვაზროვნებ“-იდან

1. შენიშვნები იხილეთ 166 გვერდიდან. – მთარგ. შენ.

გამოვდივართ, ანუ ისევ და ისევ იმ მომენტიდან, რომ ადამიანი საკუთარი თავის წვდომას მარტოობაში ახდენს, ეს კი თითქოს გზას გვიჭრის ადამიანებთან სოლიდარობისკენ, რომლებიც გარეშე იმყოფებიან და რომელთა წვდომას cogito-ს საშუალებით ვერ მოვახერხებთ.

თავის მხრივ, ქრისტიანები იმაში გვადანაშაულებენ, რომ ჩვენ ადამიანთა ქმედებების რეალობასა და მნიშვნელობას უარვყოფთ, ვინაიდან, ვანადგურებთ რა ღვთის მცნებებსა და მარადიულ ღირებულებებს, არაფერს ვტოვებთ, გარდა თვითნებობისა: ნებისმიერისთვის დაშვებულია ისე მოქცევა, როგორც მოისურვებს, და არავის ძალუძს სხვათა შეხედულებებისა და ქმედებების შეფასება.

შევეცდები აქ ვუპასუხო ყველა ბრალდებას, სწორედ ამიტომ ვუწოდე ამ მცირე ნაშრომს „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“. ალბათ მრავალს გაუკვირდება, რომ აქ საუბარი ჰუმანიზმის შესახებაა. მოდით გავერკვეთ, რა აზრს ვდებთ ჩვენ მასში. ნებისმიერ შემთხვევაში იმთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგზისტენციალიზმის ქვეშ ჩვენ ისეთი მოძღვრება გვესმის, რომელიც შესაძლებლად აქცევს ადამიანის ცხოვრებას, და რომელიც, გარდა ამისა, ასაბუთებს, რომ ყოველი ჭეშმარიტება და ყოველი ქმედება გულისხმობს ერთგვარ გარემოსა და ადამიანურ სუბიექტურობას.

ჩვენდამი წაყენებული ძირითადი ბრალდება, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ურიგო მხარეს ვაქცევთ. მცირე ხნის წინ ერთი ქალბატონის შესახებ მითხრეს, რომელსაც წამოცდენია რა უხეში გამოთქმა, მობოდიშების სახით უთქვამს: „მგონი ეგზისტენციალისტი ვხდები“. შესაბამისად, ეგზისტენციალიზმს უხამსობას უთანასწორებენ, ხოლო ეგზისტენციალისტებს „ნატურალისტებად“ მოიხსენიებენ. მაგრამ, თუკი ჩვენ მართლაც ნატურალისტები ვართ, უკიდურეს გაკვირვებას იწვევს ის, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მეტად ძალგვიძს დაფრთხობა და შოკის მოგვრა, ვიდრე ნატურალიზმს საკუთარი აზ-

დისკუსია

შეკითხვა:
(ეგზისტენციალიზმის გამარტივების შესახებ)

არ ვიცი, თქვენი სურვილი, უკეთ გაგიგონ, მართლაც უკეთ გასაგებს გახდის თქვენს ნააზრევს თუ პირიქით, უფრო მცდარად გაგიგებენ, მაგრამ ვფიქრობ, თქვენი განმარტება „Action"-ში[1] თქვენს გაგებას უფრო ართულებს. სიტყვებს „სასოწარკვეთილება" და „გადაგდებულობა" ბევრად უფრო ძლიერი რეზონანსი აქვს ეგზისტენციალისტურ ტექსტში. და მეჩვენება, რომ თქვენი თვალსაზრისით, სასოწარკვეთა ან „შიში" უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე უბრალოდ, იმ ადამიანის გამბედაობა, თავს მარტოსულად რომ გრძნობს და რამე უნდა გადაწყვიტოს. ადამიანი ყოველთვის ვერ აცნობიერებს თავის სავალალო მდგომარეობას. გასაგებია, რომ მუდმივად ვირჩევთ საკუთარ თავს, მაგრამ ამავე დროს არ გვეუფლება შფოთვა და სასოწარკვეთა.

სარტრი: ცხადია, არ ვგულისხმობ, რომ ფენოვან ნამცხვარსა და შოკოლადიან ეკლერს შორის არჩევანს შფოთვით ვაკეთებ. შფოთვა მუდმივია იმ გაგებით, რომ ჩემი თავდაპირველი არჩევანი მუდმივია. სინამდვილეში შფოთვა, ჩემი აზრით, არის გამართლების სრული არარსებობა და, ამავე დროს, ადამიანის პასუხისმგებლობა ყველას მიმართ.

შეკითხვა: მე ვსაუბრობდი თქვენს თვალსაზრისზე, რომელიც „Action"-ში გამოქვეყნდა და მგონია, რომ იქ თქვენი ნააზრევი გარკვეულწილად გამარტივებულია.

სარტრი: მართლაც, შესაძლებელია, „აქსიონში" ჩემი თეზისები გარკვეულწილად გამარტივებულია; ხშირად არაკვალ-

1. „საუბარი ეგზისტენციალიზმზე: დასკვნა", „Action", №17.

იფიცირებული ადამიანები მოდიან და შეკითხვებს მისვამენ. ამ დროს ორი გამოსავალი მაქვს: უარი ვთქვა პასუხის გაცემაზე ან გამარტივებულად განვაგრძო დისკუსია. მე იმიტომ ავირჩიე მეორე, რომ სინამდვილეში, ფილოსოფიის ლექციაზე თეორიების გადმოცემისას ნააზრევს ამარტივებენ, რათა უკეთ გასაგები გახადონ და კარგადაც იქცევიან. თუ ადამიანს აქვს ვალდებულების[2] თეორია, მან ბოლომდე უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულება.

თუ მართლაც, ეგზისტენციალისტური ფილოსოფია უპირველეს ყოვლისა არის ფილოსოფია, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობა წინ უსწრებს არსს, – ის ცხოვრებაში უნდა გამოვცადოთ, მართლაც გულწრფელი რომ იყოს. იცხოვრო, როგორც ეგზისტენციალისტმა, ნიშნავს შეასრულოთ ეს დოქტრინა და მხოლოდ წიგნებში არ მოგვახვიოთ თავს. თუ გსურთ, რომ ეს ფილოსოფია ნამდვილად ჩაერთოს მოქმედებაში, უნდა გააგებინოთ იმ ადამიანებს, ვინც მას განიხილავს პოლიტიკური ან მორალური თვალსაზრისით. თქვენ მსაყვედურობთ სიტყვა „ჰუმანიზმის“ გამოყენებისთვის. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ პრობლემა ასე წარმოგვიდგება. ან დოქტრინას უნდა მივანიჭოთ მკაცრად ფილოსოფიური მნიშვნელობა და შემთხვევითობას მივენდოთ, რათა მან იმოქმედოს, ანდა, რაკი ხალხი

2. L'engagement (ფრ.) – აქ შეიძლება ითარგმნოს, როგორც ვალდებულება, დაპირება, ბრძოლა, შეტაკება, ბრძოლაში ჩაბმა, მოქმედებაში ჩართვა და სხვ., თუმცა ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ მის სინონიმს, სიტყვას „პასუხისმგებლობა“, რომელიც ჩვენი აზრით, სრულად და ზუსტად ვერ ასახავს სარტრის თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა ფრანგულად არის „la résponsabilité“. ავტორს რომ სდომებოდა „პასუხისმგებლობის“ გამოყენება თავის შექმნილ თეორიაში, ასეც დაწერდა. შდრ.: „დისკუსიის“ ინგლისურ თარგმანში სიტყვის Commitment (L'engagement-ის შესატყვისი ინგლისურ ენაზე, რომელსაც ასევე რამდენიმე მნიშვნელობა აქვს) – მთავარი მნიშვნელობაა ვალდებულება ან მოვალეობა, რომელიც ზღუდავს მოქმედების თავისუფლებას.
თუ ჩვენ L'engagement-ს გადმოვიტანთ ქართულში, როგორც მხოლოდ „პასუხისმგებლობას“, ამით ერთგვარად შევზღუდავთ სარტრის აზრს. (თარგმანის სიზუსტისთვის „დისკუსიის“ ფრანგული ტექსტი შევადარეთ 1948 წ. შესრულებულ მის ინგლისურ თარგმანს (Existentialism and Humanism by Sartre, 1948, Translation Philip Mairet). – მთარ. შენიშვნა.

ეგოს ტრანსცენდენცია

ფენომენოლოგიური აღწერის მონახაზი

წინასიტყვაობა

ესსე *„ეგოს ტრანსცენდენტობაზე“*[1] სარტრის პირველი თხზულებაა. მანამდე გამოცემული ორი სტატია, სინამდვილეში, ვერ მიიჩნევა მართებულ ფილოსოფიურ ნარკვევად. ერთ-ერთია სტატია დუგუის სამართლის რეალისტურ თეორიაზე, (გამოიცა 1927 წ.); მეორე, „ჭეშმარიტების ლეგენდა“[2] რომელშიც სარტრმა გადმოსცა თავისი იდეები ზღაპრის ფორმაზე, გამოიცა 1931 წ. რევიუში „ბიფური“.

ამ ესსეთი სარტრმა დაიწყო მუშაობა ნარკვევზე, რომლის შედეგადაც მიიღო *„ყოფიერება და არარა“*. თუმცა ქრონოლოგია ადასტურებს მისი იმდროინდელი ფილოსოფიური იდეების უდავო ურთიერთკავშირს: შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ყველა იმდროინდელი ნაშრომი ერთდროულად შეასწორა, ანდა დაიწყო მაინც.

ესსე *„ეგოს ტრანსცენდენტობაზე“* დაიწერა 1934 წ., ნაწილობრივ იმ დროს, როდესაც სარტრი ცხოვრობდა ბერლინში, სადაც იგი ჰუსერლის ფენომენოლოგიის შესასწავლად ჩავიდა. 1935-1936 წწ. იგი ერთდროულად წერდა „წარმოსახვას“ და „წარმოსახვითს“ (გამოიცა 1936 და 1940 წწ.) შემდეგ 1937-1938 წწ., „ფსიქეას“, რომლის იდეაც გაუჩნდა 1934 წ. „ფსიქეადან“ მან გამოყო ის, რაც იქცა „ემოციათა ფენომენოლოგიური თეორიის მონახაზად“, და რომელიც გამოქვეყნდა 1939 წ. ბოლოს გავიხსენოთ, რომ ამ ნაშრომებს მაშინვე მოჰყვა *„ყოფიერება და არარა“*, და 1943 წ. გამოქვეყნდა. ამ უკანასკნელ ნარკვევში სარტრი მკაფიოდ (აშკარად, ცხადად) იცავდა თავის დასკვნებს, რომლებიც გამოთქვა ესსეში *„ეგოს ტრანსცენდენტობაზე“*, ამავე დროს მაინც შეავსო და გააღრმავა სოლიფსიზმის უარყოფა, რომელიც არ მიაჩნდა საკმარისად.

---

1. პირველად გამოიცა „ფილოსოფიურ ნარკვევებში“ 1936 წ. და შემდეგ აღარ გამოუციათ.
2. იხ. სიმონ დე ბოვუარი, „ასაკის ძალა“, გამომც. „გალიმარი“, 1960 წ., გვ. 49.

ახალგაზრდობაში დაწერილ ამ ესსეში სარტრი უარყოფდა მხოლოდ ერთ თვალსაზრისს, რომელიც აქ მაინც ძლიერ განვითარებულია: იმას, რაც ფსიქოანალიზს ეხება. მან მთლიანად შეცვალა ადრინდელი კონცეფცია – არაცნობიერის და ფსიქოანალიზის აღქმის უარყოფა, და აღარასოდეს დაუცავს თავისი ადრინდელი ცრურწმენები ამ სფეროში.

მაგრამ თვით ცნობიერების სტრუქტურის თეორია, ისევე, როგორც ეგოს, როგორც ფსიქიკური ტრანსცენდენტულობის ობიექტის ფუნდამენტური იდეა, კვლავ მას ეკუთვნის.

ეს მრავლისმომცველი, თუმცა მოკლე ესსე საუკეთესოდ წარადგინა სიმონ დე ბოვუარმა. ესსე *„ეგოს ტრანსცენდენტობაზე“*, – წერს სიმონ დე ბოვუარი, – „ჰუსერლისებრი შეხედულებით, მაგრამ ჰუსერლის ყველაზე თანამედროვე თეორიების საპირისპიროდ, აღწერდა „მე“-ს კავშირს ცნობიერებასთან; ის განასხვავებდა *ცნობიერებასა* და *ფსიქიკას*, და ეს აზრი აღარ შეუცვლია; ვინაიდან ცნობიერება არის უშუალო და ცხადი ყოფნა საკუთარი თავისთვის, ფსიქიკა არის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც აღიქმება მხოლოდ ფიქრის საშუალებით და რომელიც, აღქმის საგნების მსგავსად, მხოლოდ პროფილებით აისახება: მაგალითად, სიძულვილი ტრანსცენდენტულია, რომელსაც აღვიქვამთ Erlebnisse-ის საშუალებით და რომლის არსებობაც მხოლოდ სავარაუდოა. ჩემი ეგო თავისთავად სამყაროს ყოფიერებაა, ისევე როგორც სხვების ეგო. ამრიგად, სარტრი ამართლებდა (ან ამტკიცებდა) ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე ჯიუტ მრწამსს: არსებობს დაუფიქრებელი ცნობიერების ავტონომია; შეცდომაში შემყვანი დამოკიდებულება ეგოსთან, რომელიც, ლაროშფუკოს და ფრანგული ტრადიციის თანახმად, ჩვენს ყველაზე სპონტანურ ემოციებს მცდარად გამოხატავდა, მხოლოდ ზოგიერთ, განსაკუთრებულ ვითარებაში ჩნდება. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მისი აზრით, მხოლოდ ამ თეორიამ მოგვცა საშუალება, თავი დაგვეღწია სოლიფსიზმის, ფსიქიკისა და ეგოსგან, რაც სხვებისთვისაც და ჩემთვისაც ერთნაირად ობიექტურად არსებობს. სოლიფსიზმის გაუქმებით თავიდან ავიცილეთ იდეალიზმის ხაფანგები, და სარტრი თავის დასკვნაში ხაზს უსვამდა თავისი თეზისის პრაქტიკულ (ზნეობრივ და პოლიტიკურ) მნიშვნელობას“.

ემოციათა თეორიის მონახაზი

ფსიქოლოგია, ფენომენოლოგია და ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია

ფსიქოლოგია არის დისციპლინა, რომელსაც იმის პრეტენზია აქვს, რომ იყოს პოზიტიური, ანუ სურს, რომ წყაროდ მხოლოდ გამოცდილება გააჩნდეს.

შედეგად გამოდის, რომ ფსიქოლოგიას, რამდენადაც ის საკუთარ თავს მეცნიერებად მიიჩნევს, შეუძლია მოგვცეს მრავალგვარ ფაქტთა ერთგვარი ჯამი, რომლებიც უმეტესწილად სრულებით არ არიან ერთმანეთს დაკავშირებულნი. რა შეიძლება მეტად განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან, ვიდრე მოძღვრება სტრობოსკოპური ილუზიებისა და არასრულფასოვნების კომპლექსის შესახებ? ეს უწესრიგობა შემთხვევითი არ არის, ის თვით ფსიქოლოგიური მეცნიერების პრინციპებიდან გამომდინარეობს. მოელოდე ფაქტს – ეს განსაზღვრების თანახმად ნიშნავს მოელოდე რაღაც იზოლირებულს, პოზიტივისტური მიდგომის თანახმად ეს ნიშნავს შემთხვევითს ანიჭებდე უპირატესობას არსებითთან შედარებით, შესაძლებელს – აუცილებელთან, უწესრიგობას – წესრიგთან. ეს ნიშნავს პრინციპულად მოისროლო არსი მომავალში: „შემდეგ, როდესაც საკმარისი რაოდენობის ფაქტებს შევკრებთ“. ფსიქოლოგები მართლაც არ უწევენ საკუთარ თავს ანგარიშს იმაში, რომ შემთხვევითობათა დახვავებით ისევე შეუძლებელია არსის წვდომა, როგორც ერთის მიღება, თუ მარჯვნიდან უსასრულოდ დავამატებთ ციფრებს 0.99-ს. თუკი მათ მიზანს კერძო ცოდნის დაგროვება წარმოადგენს, ამაზე ვერაფერს ვიტყვით; უბრალოდ ის არ ჩანს, რა არის საინტერესო კოლექციონერის ასეთ სამუშაოში.

რას მოგვცემს ფსიქოლოგიის პრინციპები და მეთოდები კერძო შემთხვევასთან, მაგალითად, ემოციათა შესწავლასთან

მიმართებით? უპირველეს ყოვლისა, ემოციათა ჩვენეული ცოდნა გარედან დაემატება სხვა ცოდნას ფსიქოლოგიური მყოფობის შესახებ. ემოცია წარმოდგება, როგორც რაღაც ახალი, რისი დაყვანაც შეუძლებელია ყურადღების, მეხსიერების, აღქმის და ა.შ. მოვლენებზე. (...) რაც შეეხება ემოციის შესაძლებლობათა პირობების შესწავლას, თუკი საკუთარ თავს ჰკითხავს, აქცევს თუ არა შესაძლებლად ემოციას ადამიანური რეალობის თვით სტრუქტურა და როგორ აღწევს ამას, ფსიქოლოგს ეს უსარგებლოდ და აბსურდულად მოეჩვენებოდა: რა საჭიროა იმის კვლევა, შესაძლებელია თუ არა ემოცია, ის ხომ უეჭველად არსებობს. და ფსიქოლოგი ისევ გამოცდილებას მიმართავს, რათა ემოციურ მოვლენათა საზღვრები და მათი განსაზღვრება დაადგინოს. სიმართლეს თუ ვიტყვით, მას აქ შეეძლო შეემჩნია, რომ უკვე აქვს ემოციის იდეა, რამდენადაც ფაქტების გამოკვლევის შემდეგ ის მიჯნას გაავლებს ემოციურ ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომლებიც ასეთებს არ წარმოადგენენ: და მართლაც, როგორ მიაწვდიდა მას გამოცდილება გამმიჯნავ პრინციპს, მას რომ უკვე არ ფლობდეს? მაგრამ ფსიქოლოგი ამჯობინებს, თავისი რწმენის ერთგული იყოს, რომ ფაქტები მისი მზერის ქვეშ დაჯგუფდნენ.

სწორედ ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიზმის ნაკლოვანებებზე რეაქციის წყალობით წარმოიშვა დაახლოებით 30 წლის წინ ახალი დისციპლინა – ფენომენოლოგია. მისი ფუძემდებელი ჰუსერლი თავიდან გაოცებული იყო არათანაზომადობით არსისა და ფაქტის, იმით, რომ ის, ვინც გამოკვლევას ფაქტებით იწყებს, ვერასოდეს მივა არსთან. თუკი მე ვეძებ ფსიქიურ ფაქტებს, რომლებიც არითმეტიკული გამოთვლების საფუძვლად დევს, მე ვერასოდეს შევძლებდი ერთეულის, რიცხვისა და ოპერაციის არითმეტიკულ არსთა რეკონსტრუირებას. თუმცა, არ უარვყოფთ რა გამოცდილების იდეას (ფენომენოლოგიის პრინციპია „თვით საგნებისკენ“ მოძრაობა, მისი მეთოდის საფუძველია ეიდეტური ინტუიცია), ის უნდა ვაქციოთ, სულ ცოტა, მეტად მოქნილად და ადგილი გამო-

ვათავისუფლოთ არსისა და ღირებულების გამოცდილებისთვის; ისიც კი უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ არსი გვაძლევს ფაქტების კლასიფიცირებისა და გამოკვლევის საშუალებას. ჩვენ რომ იმპლიციტურად არ მივმართავდეთ წარმოდგენას ემოციის არსის შესახებ, ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა ფსიქიურ ფაქტთა მთელ მასაში ემოციურობის ფაქტების განსაკუთრებული ჯგუფის გამოყოფა. შესაბამისად, ფენომენოლოგია, ვინაიდან იმპლიციტურად ჩვენ უკვე მივმართეთ ემოციის არსს, ადგენს, მივმართოთ მას ასევე ექსპლიციტურადაც და ერთხელ მაინც დავაფიქსიროთ ცნების მეშვეობით ამ არსის შემადგენელი.

ჩვენთვის ახლა გასაგები ხდება ფენომენოლოგიისადმი ფსიქოლოგის უნდობლობის მიზეზი. ფსიქოლოგის იმთავითი სიფრთხილე მართლაც მდგომარეობს ფსიქიური მდგომარეობის იმგვარ განხილვაში, რომ ის ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. ფსიქიური მდგომარეობა მისთვის ყოველთვის არის ფაქტი და, როგორც ასეთი, ის ყოველთვის შემთხვევითია. სწორედ ეს შემთხვევითი ხასიათია ის, რასაც ფსიქოლოგი ყველაზე მეტადაა ჩაფრენილი. თუკი მეცნიერს ჰკითხავენ: „რატომ იზიდავენ სხეულები ერთმანეთს ნიუტონის კანონის შესაბამისად?“, ის უპასუხებს: „მე ამის შესახებ არაფერი ვიცი; იმიტომ, რომ ეს ასეა“. ხოლო თუ მას ჰკითხავენ: „რას ნიშნავს მიზიდულობა?“, ის უპასუხებს: „ის არაფერს ნიშნავს, ის არის“. ამიტომაც ფსიქოლოგი, რომელსაც ემოციის შესახებ დაუსვეს კითხვა, ამაყად პასუხობს: „ის არის. რატომ? მე ამის შესახებ არაფერი ვიცი, მე მხოლოდ კონსტატირებას ვახდენ. მე მისი მნიშვნელობის შესახებ არა მსმენია“. და პირიქით, ფენომენოლოგისთვის ნებისმიერი ადამიანური აქტი თავისი არსით მნიშვნელოვანია. თუკი თქვენ მას მნიშვნელობას ჩამოართმევთ, ამით ჩამოართმევთ ადამიანური ფაქტის ბუნებას. შესაბამისად, ფენომენოლოგის ამოცანაა ემოციის მნიშვნელობის შესწავლა. რა უნდა გავიგოთ ამის ქვეშ?

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა

4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
23. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური
და არაკლასიკური იდეალები

27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია

33. ოშო – რა არის მედიტაცია?
34. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

35. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
36. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

37. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
38. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების
პრინციპების შესახებ

39. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

40. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
41. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
42. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II

43. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
44. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა: ჰიეროფანიები
და ენერგეტიკული პარადიგმები

45. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
46. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

47. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
48. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია

49. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია